ოქმი:ო63. 6326306001
თარიღი:02/11/2026

სამტრედიის მუნიციპალიტეტის VI მოწვევის საკრებულოს

განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა

კომისიის გასვლითი სხდომის

ო ქ მ ი N 17

20 ოქტომბერი.2026 წელი.

16 საათი.

მიმდინარე წლის 20 ოქტომბერს სამტრედიის მუნიციპალიტეტის VI მოწვევის საკრებულოს განათლების, კულტურის სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის, ჯონი თევზაძის თავმჯდომარეობით, ჩატარდა განათლების, კულტურის სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიის გასვლითი სხდომა.

სხდომას ესწრებოდნენ: ჯონი თევზაძე, გიორგი მეიშვილი, ირაკლი მელაშვილი, პაატა კოხრეიძე, ტარიელ დვალიშვილი, მაია ტალაბაძე, ლაშა მუქერია, მარიამ ცომაია, მერაბ თევზაძე.

ასევე სხდომას ესწრებოდა:

რიონის ქუჩის მცხოვრებნი- თორნიკე დახუნდარიძე, სულიკო მსხილაძე, თეონა ბაღდავაძე, ნესტან გოგიშვილი, მარინა ხაჩიძე, გელა გიორგაია, გიორგი გეგეგშიძე, გია თევზაძე, ირაკლი მინაშვილი, სოსო თევზაძე, ლიზი ხუფენია და სხვები.

დღის წესრიგი:

1. ქ. სამტრედიაში, რიონის ქუჩის ნაწილისთვის თენგიზ მინაშვილის სახელის მინიჭების შესახებ.

/მომხსენებელი: ჯონი თევზაძე /

2. სხვადასხვა.

კომისიის თავმჯდომარის წინადადებით, კომისიის წევრებმა (9 ხმით) კენჭი უყარეს დღის წესრიგს.

კენჭისყრის შედეგად, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიის წევრთა (9 ხმით) და დღის წესრიგი იქნა დამტკიცებული წარმოდგენილი სახით.

<u>დღის წესრიგის I საკითხთან დაკავშირებით</u> მომხსენებელმა, ჯონი თევზაძემ, რიონის ქუჩის მცხოვრებლებს მოახსენა, რომ განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიამ განიხილა რიონის ქუჩის მცხოვრებთა განცხადება.

ჯონი თევზაძე - მოგახსენებთ, რომ განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიის მიერ განხილულ იქნა თქვენს მიერ შემოტანილი განცხადება, რომლითაც ითხოვთ, რომ რიონის ქუჩის ნაწილს შეეცვალოს სახელი და (სარაჯიშვილის ქუჩის კვეთა, კონკრეტულად ქუჩის მარჯვენა მხარე) მიენიჭოს, თენგიზ მინაშვილის სახელი.

საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის N239 დადგენილების მე-2 მუხლის ,,დ[1]'' (როგორც საზოგადოებრივ საქმიანობაში მონაწილე პირი) ქვეპუნქტის შესაბამისად, კომისიამ იმსჯელა და მიიღო გადაწყვეტილება, რომ ადგილზე გასვლით შეესწავლათ მოსახლეობის მოთხოვნა. კომისიის ყველა წევრი მხარს უჭერს ზემოაღნიშნულ საკითხს.

დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხთან დაკავშირებით აზრი გამოთქვა რიონის ქუჩის მცხოვრებლებმა.

გელა გიორგაია- მოხარული ვიქნებით და ჩვენი დიდი სურვილია, რომ რიონის ქუჩის ნაწილს, მიენიჭოს ყველასათვის საყვარელი ახალგაზრდის, ტრაგიკულად დაღუპული თენგიზ მინაშვილის სახელი.

ნესტან გოგიშვილი - თენგიზ მინაშვილმა თავისი ცხოვრება სიკეთის კეთებაში, ქველმოქმედებასა და გაჭირვებულების დახმარებაში გაატარა.

გია თევზაძე - თენგიზ მინაშვილს დიდი ამაგი აქვს არა მარტო ამ ქუჩისთვის, არამედ სამტრედიისთვის და ღირსეულად ეკუთვნის, რომ მისი სახელი მიენიჭოს რიონის ქუჩის იმ ნაწილს, სადაც ის ცხოვრობდა.

თორნიკე დახუნდარიძე - თენგიზ მინაშვილი გახლდათ გამორჩეული პიროვნება, სხვისი ჭირისა და ლხინის გამზიარებელი, ამიტომ გვსურს რომ ეს საკითხი გადაწყდეს დადებითად.

მზია თევზაძე - ჩემი აზრი ასეთია, მე არა ვარ წინააღმდეგი სახელის ცვლილებასთან დაკავშირებით ამიტომ ქუჩის გაყოფას მირჩევნია, ეს ქუჩა იყოს მთლიანად ერთი გვარის. ვფიქრობ, რომ სჯობს ერთიანი იყოს ქუჩა, როგორც ყოველთვის.

სოსო თევზაძე - ჩვენი უდიდესი სურვილია, რომ ქუჩის ნაწილს მიენიჭოს უკეთილშობილესი პიროვნების და კარგი ოჯახიშვილის, თენგიზ მინაშვილის სახელი.

მარინა ხაჩიძე - ისეთი ამაგი აქვს ჩვენზე ამ პიროვნებას, რომ ჩვენი თხოვნაა მისი სახელი მიენიჭოს რიონის ქუჩის ნაწილს. თანხმობას ხელმოწერებითაც გიდასტურებთ შემოტანილ განცხადებაში.

კომისიის თავმჯდომარემ, ჯონი თევზაძემ, განმარტა - როგორც სხდომიდან ირკვევა, შეკრებილი მოსახლეობის სურვილია, რომ რიონის ქუჩის ნაწილს შეეცვალოს სახელი და, (სარაჯიშვილის ქუჩის კვეთა კონკრეტულად ქუჩის მარჯვენა მხარე) მიენიჭოს, თენგიზ მინაშვილის სახელი.

დაადგინეს: კომისიის წევრებმა კენჭისყრის შედეგად, (9 ხმით) მიიღეს

გადაწყვეტილება, რომ გაგრძელდეს საკითხის შესწავლა.

სხდომის ოქმს თან ერთვის ქალაქ სამტრედიის რიონის ქუჩის მოსახლეობის ხელმოწერა 2(ორ) ფურცლად.

სხდომის მდივანი: /ნათია დოლიძე/

ჯონი თევზაძე

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
განათლების, კულტურის, სპორტისა და
ახალგაზრდულ საკითხთა კომისია-განათლების,
კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა
კომისიის თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი